



ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -საქართველო

პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის

პროფესიული განათლების

ეროვნული ჯილდო 2019

განაცხადი პროფესიული განათლების ეროვნულ დაჯილდოებაზე

15 მაისი

2019

# მოთხოვნა განაცხადის წარდგენაზე (RFP)

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო

დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მხარდაჭერის  
ფარგლებში

\*\*\*

პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო

მაისი

2019

## სარჩევი

<b>1</b>	<b>კონკურსის მიზანი.....</b>	<b>4</b>
<b>2</b>	<b>ორგანიზატორის შესახებ .....</b>	<b>4</b>
<b>3</b>	<b>კატეგორია I - წლის პროფესიული საგამანათლებლო დაწესებულება.....</b>	<b>5</b>
3.1	ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში? .....	5
3.2	რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში? .....	5
3.3	განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი .....	6
<b>4</b>	<b>კატეგორია II - წლის პროფესიული განათლების ბიზნეს პარტნიორი .....</b>	<b>7</b>
4.1	ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში? .....	7
4.2	რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში? .....	7
4.3	განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი .....	8
<b>5</b>	<b>კატეგორია III - წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი.....</b>	<b>9</b>
5.1	ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში? .....	9
5.2	რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში? .....	9
5.3	განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი .....	10
<b>6</b>	<b>კატეგორია IV - წლის პროფესიული განათლების სტუდენტი.....</b>	<b>11</b>
6.1	ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში? .....	11
6.2	რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში? .....	11
6.3	განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი .....	12

---

## 1 კონკურსის მიზანი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ (ISWD) პროექტის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდთან თანამშრომლობით, აცხადებს პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2019 კონკურსს, სადაც გამოვლინდებიან გამარჯვებულები შემდეგ ოთხ კატეგორიაში:

I. წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება

II. წლის პროფესიული განათლების ბიზნეს პარტნიორი

III. წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი

IV. წლის პროფესიული განათლების სტუდენტი

პროფესიული განათლების ეროვნული დაჯილდოების მიზანია პროფესიული განათლების იმიჯისა და რეპუტაციის ამაღლება, მისი მნიშვნელობისა და პრესტიჟის აღიარება, როგორც კერძო სექტორის წარმომადგენლებში, ასევე ინდივიდებში.

აღნიშნული მოთხოვნა განაცხადზე (RFP) აღწერს კონკურსის მიზნებს და იმ პირობებსა და მოთხოვნებს, რაც განმცხადებლებმა უნდა დააკმაყოფილონ.

უფლებამოსილ ორგანიზაციებს შეუძლიათ შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: [www.awardtvvet.ge](http://www.awardtvvet.ge). განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა **ორშაბათი, 2019 წლის 9 სექტემბერი**.

## 2 ორგანიზატორის შესახებ

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ათასწლეულის გამოწვევის მე-2 კომპაქტი მხარს უჭერს სტრატეგიული ინვესტიციის განხორციელებას ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა (TVET) და უმაღლესი განათლების სფეროებში. კომპაქტის ფარგლებში ძირითადი აქცენტები საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, ტექნოლოგიების, მათემატიკური (STEM) მეცნიერებებისა და უნარების განვითარებას ეთმობა. საქართველოს მთავრობამ დააფუძნა სსიპ ათასწლეულის განვითარების ფონდი - საქართველო (MCA-Georgia), რომელიც კომპაქტის ზედამხედველობაზე, მენეჯმენტსა და განხორციელებაზეა პასუხისმგებელი. „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ (ISWD) 16 მილიონის აშშ დოლარის ღირებულების პროექტია, რომელიც კომპაქტის ფარგლებში ხორციელდება და რომლის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა.

### 3 კატეგორია I - წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება

ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება ავტორიზებული საჯარო ან კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ან ზრდასრულთა განათლების და ტრენინგის მიწოდებელი, რომელიც პროფესიული განათლების პროგრამების განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის მიწოდებას უზრუნველყოფს.

#### 3.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში?

კონკურსი ღიაა ყველა საჯარო თუ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ავტორიზებულები არიან პროფესიულ განათლების მიწოდებაში და რომელიც სულ მცირე ერთი წელია რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დარეგისტრირებულია იურიდიულ პირად (მომგებიანი თუ არა-მომგებიანი).

#### 3.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში?

აღნიშნულ კატეგორიაში გამარჯვებისთვის, კანდიდატს მოეთხოვება წარმოადგინოს და დამტკიცოს რომ ის მისდევს პროფესიული განათლების მიწოდების საუკეთესო პრაქტიკას და ზრუნავს მიწოდების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

ეს შესაძლოა დემონსტრირებულ იქნას სხვადასხვა გზებით, მათ შორის:

❖ შრომის ბაზრის მოთხოვნების და პროფესიული განათლების მომხმარებლების საჭიროებების დაკმაყოფილება, მათ შორის ბიზნესის, ადგილობრივი თემის და პოტენციური სტუდენტების:

- ადგილობრივ ბიზნესებთან და დამსაქმებლებთან ჩამოყალიბებული პარტნიორობის სიძლიერის და მდგრადობის მტკიცებულება
- კომუნიკაციის აქტივობების შედეგები, რაც გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას და ადგილობრივი ბიზნეს უნარების საჭიროებების კვლევებს
- შესაბამისი საგანმანათლებლო და ტრენინგ პროდუქტების და სერვისების განვითარება/ადაპტაცია და მიწოდება, რომელიც უპასუხებს გამოვლენილ საჭიროებებს
- პროფესიული განათლების პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი

❖ საგანმანათლებლო დაწესებულების მზაობა მუდმივი გაუმჯობესებისთვის და საუკეთესო პრაქტიკის განვითარებისთვის:

- ინოვაციური კურსის მიწოდება, რომელიც მოიცავს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას და/ან მოსწავლეზე-ორიენტირებულ და აქტიური სწავლების სტილს
- სტუდენტებისთვის გაწეული მხარდაჭერის ხარისხი
- გაუმჯობესებული მენეჯმენტის და ხარისხის სისტემების განხორციელება ორგანიზაციის შიგნით
- საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის შესაძლებლობების გაუმჯობესები გზები და პროფესიონალური განვითარების აქტივობები

❖ **თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზება და მიწოდება:**

- მეტი სოციალური და გენდერული ინტეგრაციის მიღწევის გზები, რაც მოიცავს ნაბიჯებს გენდერული სტერეოტიპების შემცირებისთვის და პროფესიული განათლების შესაძლებლობების რეკლამირებას გოგონებისთვის
- მოწყვლადი ჯგუფების და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების და/ან სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის ინდივიდუალური მხარდაჭერა და დახმარების უზრუნველყოფა
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რათა პროფესიული განათლების შესაძლებლობები გაუმჯობესდეს სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის, იძულებით გადაადგილებული პირთათვის და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის

**3.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: [www.awardtvvet.ge](http://www.awardtvvet.ge)

შესაბამისი მტკიცებულებები PDF ფორმატში უნდა იქნეს ატვირთული, ონლაინ ფორმასთან ერთად.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **ორშაბათი, 2019 წლის 9 სექტემბერი**.

შემოსული განაცხადები შეფასდება დამოუკიდებელი ტექნიკური შეფასების ჟიურის მიერ, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თითოეული განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმით:

შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულები
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიღწეული შედეგის ხარისხი, რამდენად პასუხობს აღნიშნული კატეგორიის მიზნებს და რამდენად შეიძლება წარმოდგენილი მოდელი მიჩნეული იყოს სამაგალითო პრაქტიკად (წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე)	60
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წვლილი საქართველოში პროფესიული განათლების იმიჯისა და რეპუტაციის	20
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების წვლილი გენდერული და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესებისათვის საქართველოს პროფესიული	20
სულ	100

## 4 კატეგორია II - წლის პროფესიული განათლების ბიზნეს პარტნიორი

ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება ბიზნესი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარების საქმეში, ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემის მხარდაჭერის გზით.

### 4.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში?

კონკურსი ღიაა ყველა იმ საწარმოსთვის და/ან ბიზნეს ორგანიზაციისთვის, რომელიც სულ მცირე ერთი წელია რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დარეგისტრირებულია იურიდიულ პირად.

### 4.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში?

აღნიშნულ კატეგორიაში გამარჯვებისთვის, კანდიდატს მოეთხოვება წარმოადგინოს და დაამტკიცოს ბიზნესის მხრიდან პროფესიული განათლების დაწესებულებებთან მჭიდრო პარტნიორობა და განხორციელებული ინვესტიცია, ასევე რამდენად ზრუნავს საკუთარი კადრების პროფესიული ტრენინგებით უზრუნველყოფას.

ეს შესაძლოა დემონსტრირებულ იქნას სხვადასხვა გზებით, მაშ შორის:

#### ❖ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის ხანგრძლივობა, ეფექტურობა და გავლენა:

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა, მაგალითად, პრაქტიკული ტრენინგისთვის საჭირო აღჭურვილობისა და მასალების უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლების ტექნიკური ინფორმაციით მხარდაჭერა და კონსულტაციის გაწევა
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მხარდაჭერა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების განვითარებაში, ადაპტაციისა და მიწოდებაში, ასევე სტუდენტებისთვის კარიერული განათლების და დაგეგმვის მიწოდებაში დახმარების გაწევა
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში აქტიური მონაწილეობა, სამეთვალყურეო საბჭოში ჩართვით და კონსულტაციის გაწევით

#### ❖ ორგანიზაციის მხარდაჭერა სტუდენტებისთვის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიწოდებაში:

- ინვესტირება სამუშაო ადგილების ადაპტირებაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი და უსაფრთხო გარემო პროფესიული სწავლებისთვის და პრაქტიკული შეფასებისთვის
- კომპანიის პერსონალის პროფესიულ განვითარებაში ინვესტირება, რათა მათ შეძლონ სტუდენტებისთვის ტრენინგის და მენტორობის გაწევა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში

❖ **ორგანიზაციის ინვესტიცია საკუთარი დასაქმებულების შესაძლებლობების განვითარებაში:**

- პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები, რომელიც გააუმჯობესებს სამუშაოს შესრულების ხარისხს და წახალისებს დასაქმებულების მოტივაციას, ჩაერთონ უწყვეტ პროფესიონალურ განვითარებაში
- სამეწარმეო ტრენინგის რესურსებში ინვესტირება, რომელიც მოიცავს სპეციალურ ტრენინგ ადჟურვილობას დასაქმებულთა ტრენინგისა და პროფესიული განვითარებისთვის
- ადგილობრივ პროფესიული განათლების პროვაიდერებთან კონტრაქტების დამყარება, კომპანიის დასაქმებულთათვის ტრენინგების უზრუნველყოფის მიზნით

**4.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: [www.awardvet.ge](http://www.awardvet.ge)

შესაბამისი მტკიცებულებები PDF ფორმატში უნდა იქნეს ატვირთული, ონლაინ ფორმასთან ერთად.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **ორშაბათი, 2019 წლის 9 სექტემბერი**.

შემოსული განაცხადები შეფასდება დამოუკიდებელი ტექნიკური შეფასების ჟიურის მიერ, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თითოეული განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმით:

შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულები
პროფესიულ საგამანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის სიძლიერე, რამდენად პასუხობს აღნიშნული კატეგორიის მიზნებს და რამდენად შეიძლება წარმოდგენილი პარტნიორობა აღქმული იყოს სამაგალითო პრაქტიკად, მათ შორის ბიზნესის წვლილი პროფესიული განათლების იმიჯის	40
ორგანიზაციის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების უზრუნველყოფა პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის და კომპანიის წვლილი შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნილი პროფესიული განათლების პროგრამების	30
ორგანიზაციის ინვესტიცია საკუთარი დასაქმებულების პროფესიულ განვითარებაში და მხარი დაუჭიროს მათ უწყვეტ პროფესიულ	30
სულ	100



## 5 კატეგორია III - წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი

ამ კატეგორიაში დაჯილდოვდება ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელი, რომელიც საუკეთესო შედეგებს წარმოადგენს.

### 5.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში?

კონკურსი ღიაა ყველა პროფესიული განათლების პროფესიონალებისთვის, რომლებიც დასაქმებულები არიან ავტორიზებულ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

კანდიდატის ნომინირება შეუძლიათ მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სადაც წარმოდგენილი კანდიდატები მუშაობენ. პროფესიული განათლების პროვაიდერებს შეუძლიათ წარმოადგინონ ერთზე მეტი კანდიდატი.

### 5.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში?

აღნიშნულ კატეგორიაში გამარჯვებისთვის, კანდიდატს მოეთხოვება წარმოადგინოს და დამტკიცოს სამუშაოს შესრულების მაღალი ხარისხი და შედეგები და ასევე, მისი მოტივაცია გახდეს საუკეთესო პროფესიონალი საკუთარ სფეროში.

ეს შესაძლოა დემონსტრირებულ იქნას სხვადასხვა გზებით, მათ შორის:

#### ❖ პროფესიული განათლების და/ან მასთან დაკავშირებული სერვისების მაღალ-ხარისხიანი მიწოდება:

- კანდიდატის მიერ თანამედროვე სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის/ ტექნიკის წარმატებული გამოყენება
- სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების გამოყენება
- სწავლების ინდივიდუალური მიდგომის ეფექტური გამოყენების მტკიცებულება
- მაღალი ხარისხიანი შედეგების მტკიცებულება (სტუდენტის შედეგები/ კმაყოფილება და ა.შ.)

#### ❖ კანდიდატის მოტივაცია აქტიურად ჩაერთოს თვით-განათლებლასა და განვითარებაში:

- საგნის ცოდნის და პედაგოგიური უნარების გაუმჯობესება
- პროფესიული განვითარების ტრენინგსა და აქტივობებში აქტიური და ნებაყოფლობითი მონაწილეობა
- პროფესიონალური კვალიფიკაციის პროგრესი

#### ❖ კანდიდატის წვლილი პროფესიული განათლების მიწოდების გაუმჯობესებაში:

- ინოვაციური იდეები, რომლებიც წვლილს შეიტანენ პროგრამების ხარისხის და მიწოდების ეფექტურობის გაუმჯობესებაში
- ცოდნის გაზიარება და კოლეგების მხარდაჭერა
- თანაბარი შესაძლებლობების და გენდერული და სოციალური ინტეგრაციის წახალისება

- საგანმანათლებლო დაწესებულების კომუნიკაციის აქტივობებში მონაწილეობა, მაგალითად ბიზნეს ჩართულობა, მარკეტინგი, სტუდენტთა მოზიდვა

### 5.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი

დაინტერესებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, კანდიდატის წარმოსადგენად უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: [www.awardvet.ge](http://www.awardvet.ge)

შესაბამისი მტკიცებულებები PDF ფორმატში უნდა იქნეს ატვირთული, ონლაინ ფორმასთან ერთად.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **ორშაბათი, 2019 წლის 9 სექტემბერი**.

შემოსული განაცხადები შეფასდება დამოუკიდებელი ტექნიკური შეფასების ჟიურის მიერ, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თითოეული განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმით:

შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულები
კანდიდატის სწავლების მიწოდების ხარისხი, მათ შორის მაღალ-ხარისხიანი პედაგოგური უნარების გამოვლინება	60
კანდიდატის თვით-განვითარების და პროფესიული განვითარების მოტივაცია	20
კანდიდატის წვლილი პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში, მათ შორის ხარისხის გაუმჯობესება, თანაბარი შესაძლებლობების წახალისება,	20
სულ	100

## 6 კატეგორია IV - წლის პროფესიული განათლების სტუდენტი

ამ კატეგორიაში გამოვლინდება პროფესიული განათლების სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო შედეგს, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული სწავლების მიმართულებით.

### 6.1 ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კატეგორიაში?

კონკურსი ღიაა ყველა იმ სტუდენტისთვის, რომელიც ჩარიცხულია ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სწავლობს III, IV და V პროგრამების დონეებზე.

კანდიდატის ნომინირება შეუძლიათ მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სადაც წარმოდგენილი კანდიდატები არიან ჩარიცხულნი ი. პროფესიული განათლების პროვაიდერებს შეუძლიათ წარმოადგინონ ერთზე მეტი კანდიდატი.

### 6.2 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აღნიშნულ კატეგორიაში?

აღნიშნულ კატეგორიაში გამარჯვებისთვის, კანდიდატს მოეთხოვება წარმოადგინოს დაამტკიცოს სწავლების მაღალი შედეგები და ასევე, მისი მოტივაცია გახდეს საუკეთესო პროფესიონალი საკუთარ სფეროში.

ეს შესაძლოა დემონსტრირებულ იქნას სხვადასხვა გზებით, მათ შორის:

- ❖ კანდიდატის მიერ პროფესიული უნარების და ცოდნის შექმნა და გამოყენება, კონკრეტულ სფეროში:
  - თეორიული და პრაქტიკული გამოცდების და ტესტების შედეგები
  - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების და/ან სხვადასხვა პრაქტიკის გავლის დროს, კანდიდატის მიერ შესრულებული სამუშაო შეფასების ანგარიშები
  - პროფესიული უნარების კონკურსებში მონაწილეობის მტკიცებულება
- ❖ კანდიდატის ინდივიდუალური უნარები და მისწრაფება თვით-განვითარებისკენ და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებისკენ, როგორცაა ჯგუფური მუშაობა, კომუნიკაცია და პრობლემების გადაჭრის უნარები:
  - კანდიდატის მონაწილეობა სხვადასხვა ჯგუფურ აქტივობებში, მათ შორის ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობა, ლიდერული უნარების გამოვლენა
  - კანდიდატის მისწრაფება თვით-განვითარებისკენ შეიძინოს ახალი ცოდნა და უნარები
  - პრობლემის გადაჭრის დროს, კანდიდატის მიერ ინოვაციური იდეების გამოყენება
- ❖ კანდიდატის პოტენციური გახდეს სამაგალითო და შეძლოს სხვა პროფესიული განათლების სტუდენტების მოტივირება:

- კანდიდატის პიროვნული სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც მოიცავს კანდიდატის კონტრიბუციას საერთო წარმატების მიღწევაში
- კანდიდატის მონაწილეობა დამატებით აქტივობებში, როგორცაა ახალ სტუდენტების ორიენტაცია და/ან ცოდნის და გამოცდილების გაზიარება
- კანდიდატის ლიდერობის უნარების დემონსტრირება საერთო აქტივობების განხორციელების დროს

### 6.3 განაცხადი, შერჩევა და დაჯილდოების პროცესი

დაინტერესებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, კანდიდატის წარმოსადგენად უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: [www.awardtvvet.ge](http://www.awardtvvet.ge)

შესაბამისი მტკიცებულებები PDF ფორმატში უნდა იქნას ატვირთული, ონლაინ ფორმასთან ერთად.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **ორშაბათი, 2019 წლის 9 სექტემბერი**.

შემოსული განაცხადები შეფასდება დამოუკიდებელი ტექნიკური შეფასების ჟიურის მიერ, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თითოეული განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმით:

შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულები
კანდიდატის შესაძლებლობა ეფექტურად გამოიყენოს პროფესიული უნარები და ცოდნა, რომელიც მიიღო ავტორიზებულ პროფესიულ დაწესებულებაში	50
კანდიდატის კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის და პრობლემის გადაჭრის უნარები	25
კანდიდატის პოტენციალი გახდეს სამაგალითო სხვა სტუდენტებისთვის	25
სულ	100